# ქალაქ ბათუმის მერი

# THE MAYOR OF BATUMI

№ 25-04/3970 „22“ „11“ 2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს
ბატონ ტ. ურჯუმელაშვილს

**ბატონო ტატო,**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობები და წესი“-ს მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის განხორციელებისათვის ჩატარებულ კონკურში (N203) გამარჯვებული კონკურსანტის - ი/მ გიორგი კობალაძის მიერ წარმოდგენილ, საკონკურსო წინადადების დაზუსტებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

დანართი „4“ ფურცელი.

პატივისცემით,

**ქ. ბათუმის მერი** რ. ჩხაიძე **რობერტ ჩხაიძე**

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 8 (422) 27 26 26. ფაქსი: 8 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

# ინდ/მეწარმე "გიორგი კობალაძე"

№ 43 21.11.2011წელი

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერს
ბატონ რობერტ ჩხაიძეს

თქვენი 2011წლის 18 ნოემბრის №25–04/3937 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ №203 კონკურსში – "სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის" შესახებ *ინდ/მეწარმე "გიორგი კობალაძის"* გამარჯვების შემთხვევაში
ტექნიკური დავალების **მე-4 პუნქტის** (*დავალების შესრულების ვადები*) შესაბამისად ხარჯთაღრიცხების მომზადება და შემსყიდველისათვის გადაცემა განხორციელდება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

1.1 პუნქტში მითითებული საცხოვრებელი სახლების ბინების სარემონტო სამუშაოები – 20 **კალენდარული დღის** განმავლობაში,

1.2 პუნქტში მითითებული საცხოვრებელი სახლების ბინების სარემონტო სამუშაოები – 30 **კალენდარული დღის** განმავლობაში,

1.3 პუნქტში მითითებული საცხოვრებელი სახლების ბინების სარემონტო სამუშაოები – 30 **კალენდარული დღის** განმავლობაში.

ხოლო ტექნიკური დავალების **მე-5 პუნქტის** (*ნორმატიული დოკუმენტაცია*) შესაბამისად, ტექნიკური დავალების შესაბამისი ობიექტების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება შემდეგი ძირითადი ნორმატიული სახელმძღვანელოების მიხედვით:

სნიპ II-2-80 – შენობა-ნაგებობების ანტისახანძრო ნორმები,
სნიპ 2.03.01-84 – ბეტონისა და რკ/ბეტონის კონსტრუქციები,
სნიპ II-22-81 – ქვისა და არმირებული ქვის კონსტრუქციები,
სნიპ II-25-80 – ხის კონსტრუქციები,
სნიპ II-26-76 – სახურავები,
სნიპ II-28-73 – სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა,
სნიპ 2.04.01-85 – შენობის შიდა წყალ-კანალიზაციის სისტემა,
სნიპ 2.04.01-84 – წყალმომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები,
სნიპ II-32-74 – კანალიზაცია, გარე ქსელები და ნაგებობები,
სნიპ 544-82 – შენობა-ნაგებობების ელექტრომომარაგების პროექტირების ინსტრუქცია

ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება
№ 04-03/19422
22 11 2011 წ.

ი/მეწარმე "გიორგი კობალაძე"-ს რწმუნებული:

საქართველო, ბორჯომი, დავით აღმაშენებლის ქ. 15 ს/კ 126164826 ☎ 5 51 122277 5 93 122277
15 d. agmasheneblis str. Borjomi , GEORJIA ☎ 5 97 221116

**ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის**

**საკონკურსო კომისიის ოქმი №4-3**

**ქ. ბათუმი,** **22 ნოემბერი, 2011 წ.**

**სხდომას ესწრებოდნენ:** რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

დავით სამნიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ;

თენგიზ პეტრიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

**დღის წესრიგი:** თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 4 ნოემბერს გამოცხადებულ N203 კონკურსში ი/მ გიორგი კობალაძის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციის განხილვა.

**მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას მოახსენა, რომ ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N203 კონკურსში, მოთხოვნის შესაბამისად, ი/მ გიორგი კობალაძის მიერ წარმოდგენილი იქნა დაზუსტებული დოკუმენტაცია, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული, ხარჯთაღრიცხვების მომზადების და მათი შემსყიდველისათვის გადაცემის ვადები და ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივები.

**კომისიამ დაადგინა:**

1. ი/მ გიორგი კობალაძის მიერ ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვაზე წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. გაფორმდეს ი/მ გიორგი კობალაძესთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;

3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წერილის გაგზავნა ი/მ გიორგი კობალაძისთვის არაუგვიანეს 2011 წლის 22 ნოემბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით სამნიძე

სატენდერო კომისიის წევრები: არჩილ ვანაძე

თენგიზ პეტრიძე

ვლადიმერ ხინთიბიძე

# ქალაქ ბათუმის მერი
# THE MAYOR OF BATUMI

№ 25-04/3971 „22“ „11“ 2011წ.

**ინდივიდუალურ მეწარმეს**
**„გიორგი კობალაძეს“**

**ბატონო გიორგი,**

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის საკონკურსო კომისიამ განიხილა ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსში (N203) თქვენს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაცია, რომელიც სრულად შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გთხოვთ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მობრძანდეთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდა ხელშეკრულების გაფორმება, საკონკურსო კომისია მოახდენს თქვენს დისკვალიფიკაციას.

დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე შეტყობინება გამოგზავნილი იქნება თქვენს მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არაუგვიანეს 2011 წლის 22 ნოემბრისა.

პატივისცემით,

**ქ. ბათუმის მერი** **რობერტ ჩხაიძე**

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 8 (422) 27 26 26. ფაქსი: 8 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge